ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 7

2022 წლის 20 აპრილი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ბაქარი ბარბაქაძე, ქეთევან ზუმბაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა ციორგიძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 26 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ, რომელმაც გააკეთა განმარტებები საბიუჯეტო ცვლილებების დროს ცალკეული მუხლებში თანხის შემცირების გამომწვევ მიზეზებზე და ასევე ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოთხოვნებთან დაკავშირებით დაფინანსების გაზრდისათვის მომხდარ საბიუჯეტო ცვლილებებზე, ისაუბრა მირონწმინ დის(მირონწმინდა) ეკლესიასთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობის, კიტა ბუაჩიძის ბიუსტის დადგმის, თავისუფალი ჭიდაობის სექტორში - კონსულტანტების დაფინანსების, სოფლის პროექტების თანადაფინანსების, სააღდგომო დახმარების გაცემის და სხვა საკითხების შესახებ.

კ. ბერაძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვერ გავეცანით იმ ბენეფიციართა სიას, ვისაც დახმარება ეძლევა ,

კ. გოგსაძემ, უნდა ვიცოდე ვის ეძლევა დახმარება, რომ გადავწყვიტო მხარი დაუჭირო თუ არა ცვლილებას ამ ნაწილში

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ სიის გასაჯაროებას ვერ მოვახდენთ, თუ მიგაჩნიათ, რომ დაკმარება ეკუთნის თქვენს მცხოვრებს შეგიძლიათ წარმოადგინოთ კომისიაზე განსახილველად.

ო. გაგოშიძემ- ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, მაინტერესებს რა კრიტერიუმებით ხდება შერჩევა

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა,მერის წარმომადგენლების მეშვეობით ხდება შერჩევა სამიზნე ჯგუფის, მხედველობაში მიიღება ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეკონომიური მდგომარეობის, სულადობის დასხვა კრიტერიუმები.

გ. გიორგიძემ აღნიშნა, რომ მერიაში სამსახური იმისთვისაა შექმნილი, რომ შეიმუშაოს კრიტერიუმები ვინ მიიღოს დახმარება და ვინ არ, ჩვენი მოვალეობაა გამოვყოთ თუ არა თანხა, წარვადგინოთ კანდიდატურა, თუ ჩაჯდება კრიტერიუმში მიიღებს თუ არა ვერ მიიღებს თუ მიგვაჩნია, რომ ვინმე უსაფუძვლოდ დაიჩაგრა გავასაჩივროთ.

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ამ საკითხზე ჩავატარეთ კომისიის სხდომა, ამხელა დისკუსია იქ არ ყოფილა, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში14

სოფელ შედის ერთ მოქალაქეს არ გამოუთქვამს საყვედური, თუ გამოთქვამს მოვისმენ და დავეხმარები, რაც შეეხება საკითხს კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად დააყენა კენჭის ყრაზე საბიუჯეტო ცვლილება

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მირონწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 255 906 ლარის აისახოს 2022 წლის ბიუჯეტში

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 188 პროექტის თანადაფინანსებისათვის საჭირო 318 000 ლარის შესავსებად დან. N 2

საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტში მოხდეს პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის ცვლილება, კერძოდ შემცირდეს:

ა) წყლის სისტემის განვითარების პროგრამა 200 000 ლარით.

ბ) მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციის პროგრამა - 30 000 ლარით.

გ) დარჩენილი სხვაობა 88 000 ლარი მიმართული იქნას 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 15/01 N 02-682210547 მომართვით აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით
მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარების გასაწევად დამატებით დამატებით გამოიყოს 35 000
ლარი.
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0
კენჭის ყრაზე დადგა საკითხი მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ა(ა)იპ-ების
მომართვების თანახმად ახალი
ვალდებულებების ასაღებად დამატებით საჭიროა 42 000 ლარი, რომლის
დაფინანსების წყაროდ ასევე გამოყენებული უნდა იქნას 2022 წლის პირველი
იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი. კერძოდ:
- ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 2022 წლის 17/03 N 12 მომართვის
თანახმად, ცნობილი დრამატურგის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის - **კიტა ბუაჩიძის ძეგლის დასადგმელად** ესაჭიროება 12 000 ლარი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 21
წინააღმდეგი 4

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი - ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის
გაერთიანებისათვის
მეწყერისა და სხვა სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დაზიანებული გზების
გასაწმენდად დამატებთ - 20 000 ლარის გამოყოფის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი -- ა(ა)იპ სპორტისა და ტურიზმის ცენტრის 2022 წლის 15.04. N 24 მომართვით თავისუფალი ჭიდაობის სექტორის გაძლიერებისა და პოპულარიზაციის
მიზნით
მოწვეული კონსულტანტების შრომის ანაზღაურებისათვის დამატებით გამოიყოს
10 000 ლარი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები
განისაზღვრება 16
461 338 ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები
განისაზღვრება 19 713 306 ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 25 წევრი
მომხრე 25
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**